ხელშეკრულება№ 64
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.ქუთაისი 16 ივლისი 2016 წ.

ერთის მხრივ ა(ა)ი.პ-ი "ხონის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა ფხაკაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ "ლევანი ლექვინაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ბუჭდვითი მომსახურების შესყიდვა (CPV 79810000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია:მიმწოდებლის საკუთარი მოწყობილობების, ტექნიკური საშუალებებისა და მასალების გამოყენებით მომსახურების გაწევა შემსყიდველის კუთვნილ სპორტულ ტანსაცმელზე (მაისურებზე) ნომრების ბეჭდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 408 (ოთხასრვა) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4.3.ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
6.2. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1.დაუძლეველი პირობების გარდა,მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში მომსახურების გაუწევლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4.მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. შესყიდვის ობიექტის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 31 აგვისტომდე.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 3 ოქტომბრამდე.

11.სხვა პირობები

11.1.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს,ხოლო ერთი - შემსყიდველს.

12.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის
სპორტულ–გამაჯანსაღებელი ცენტრი
ს/კ244973739
მის:ქ.ხონი პ.კაკაბაძის ქ.№7

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESSGE22

დირექტორი
კობა ფხაკაძე

მიმწოდებელი:

ი/მ ლევანი ლექვინაძე
ს/კ 60003002480
მის: ქ.ქუთაისი ზ.ჭავჭავაძის 6/35

სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:TBCBGE22
ანგ: №GE08TB7354836010100008

ლევანი ლექვინაძე